წელიწადი მეორე. № 15. 13 აპრილი 1878 წ.

**ხელის-მოწერა:**

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

—

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენებზედ.

**«ივერიის» ფასი**

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ.
ნახევარის წლისა . . . . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . . . . . . . « 15კ.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**გამოდის ხუთშაბათობით**

აღდგომის გამოისობით შემდეგი ნომერი გამოვა **27**-ს აპრილს.

---

**საძიებელი** I. საქართველოს მატიანე: ქართლი. წერილი ქართლელის მიმართ. როგორ ცდილობენ აბრეშუმს და ბარგს სომხები კახის უხასიათობაში. ანგარიში «გენეცველის გაჭრის» წარმოდგენის შესახებ.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა რუმინია.—III. საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი.—IV. სასამართლოს მატიანე, ზასულიჩის ქალის საქმე (პეტერბურღის ოლქის სასამართლოში).—V. რუსეთი სხვა და სხვა ამბები.—VI. სისხლის მოჩვენებაზედ. მოთხრობა (შემდეგი).

---

## საქართველოს მატიანე

**ქართლი**, ფრონის ხეობიდამ: (ივერ. კორრეს.) ქართლელი ძველის მიმდევარია, კონსერვატორია. მე ბევრისაგან გამიგონია ეს ჭაშრი და თვით ჩემი გამოცდილებითაც დავრწმუნდი ამაში. სულნისა არ იყვეს ვის გაამტყუნებ? თვით ისტორიული და ბუნებითი პირობები ისეთი ერტყა ჩვენს ხალხსა, რომ არ შეიძლებოდა არ გამოეკვლია მშვიდი, ჩაფიქრებული და სწორედ გუთნიდედური ხასიათი. ქართლელი იშვიათად ჩხუბში გაერევა და ყოველნაირ არეულობას და ამბოხებას ისე ერიდება, როგორც ურია ღორის ხორცსა. ბევრსა შრომობს, როგორც ხარი, არა იმიტომ, რომ კარგად მოეწყოს ცხოვრებაში გონებითად: არა, ბატონო! ის თავის დღეში არ უმტყუნებს თავის საყვარელს ღობიოს და შუა დარბაზში მხრჩოლარე ცეცხლსა. რამდენ გლეხს უბრძოლია მთელ თავისის არსებით, რომ შუა კერი ბუხარზედ არ შეჭსცვალოს.

X

ახლა მეორე მოსავალს ელის გლეხი და ფიქრობს შარშანდელს წელიწადთან ყოველი ანგარიში გასწმინდოს და გაათავოს. სასიხარულო ციფრებს არ მიიღებს თუ! რას მეუბნები, იმის შვილის შვილი ვერ მოესწრება შარშანდელისთანა წელიწადს. ზღვად გასქდა მომეტებული ნაწილი ქართლის მინდვრებისა შარშან და ისე უხვად უბრუნა გლეხს ანაბარი, რომ თავის გამოზრდაში არ მოსწრებია. ერთი კიდე მაშინ იყო კაი მოსავალი როცა ჯერ სახრის ჭერა და მეხრეობა შეიძლო. რადა ბევრი გავაგრძელო, ამ ათს თხუთმეტს წელიწადში აღარ მოსწრებია ქართლი ამ ნაირს მოსავალს. ერთს ათიოდე სოფელს აღარ დარჩა გასალეწი წრეულისათვის!? ზოგი რომ მეტის მეტად ეშურებოდა გალეწვას, თითქმის გიორგობისთვის პირველ რიცხვებშიც კი ლეწეს. მაგრამ უნდა გეყურებინათ რა სეირი იყო: ორ-სამ დღეში მლივს ილეწებოდა ერთი კალო, სიცივისგამო ისე ბუჩოვდებოდა და მეხრეს რომ სიცივით კრიჭა ეკვროდა და ჭოროველას ვეღარ ამბობდა, გამწარებულთ კევრში ბმულ ხარს ეფარებოდა, ლოყაზედ ხელს იფარებდა და მიკვდარუნებულის ხმით კნაოდა ჭოროველას, ამ ხარების შემაქცევარს სიმღერას.

X

«..... უხვად მოვიდა წელს პური,
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,
რომ ამას სულ სხვა წამართმევს
და მე კი ოფლსა ტყვილა ღვრი.»

მაგრამ რაო? რა შედეგი ჰქონდა ეკონომიურად ამ კარგ მოსავალს გლეხის თვის? პირშიც რომ ჩაგიდონ ლუკმა, თუ ყბა არ მოუსვიო, კუჭში არ ჩავაო. ბარემდამ უსვამდა ყბას კაა ღონივრად, მაგრამ რას იზამ, რომ პირიდან გამოგაცლიან ჯერ დაუღეჭავ ლუკმას! ასე, ჩემო ბიძია, მთელი ზაფხული

შრომობდა გლეხი, წელებზე ფეხს იდგამდა, ბუნებაც არ ღალატობდა, მაგრამ გლეხი ისევ იმ გლეხად დარჩა, რომელიც ფარნაოზის დროს სცხოვრობდა. რამდენიც წელიწადი გავა მოსავლისა, იმდენ ანგარიშს სჩადის და ჯამში კი არა რჩება რა. აკაკის ლექს თუ წაიკითხავს ხოლმე, თორემ სხვა იმას არა დარჩება რა სანუგეშოდ.

×

არა, ჭირიც რადა მაშინ ატყდა, როცა კაი მოსავალი მოვიდა. იმ ოხერმა კომლი არ გაუშვა, რომ ხუთი, ათი თხუთმეტი სული არ წაერთმია. ზოგს ბრუციანი ხარიღა დაუგდო, ზოგს კუზიანი მოზვერი. მოცადი საქონელი ხომ სულ გასვრიმა. მე თავათ მოწამე ვარ, როგორ ეხვეწებოდა გლეხი მეკლუსიის კარებთან დაჩოქილი თავის ერთად ერთის ხარის გადარჩენასა, რომლის მეტი არა ებადა რა. ნეტა არა აქვს შველა ამ საქონლის ჭირსა. ნეტა რას ამბობენ ვეტერინარები? რატომ ინგლისში არ არის ეს ჭირი, სადაც იმავე ალაგას, სადაც აქ ასი სულის საქონელი, იქ ხუთასი და ექვსასია? თუ ჩვენი განათლებული საზოგადოება, ეს ძილის მოყვარე ქართველები, არა ცდილობენ ამ ჭირს რამე წამალი დაედოს? ეჰ, განათლებულო ქართველო, შე ღვთისაგან კურთხეულო, ოთხი მეხუთედი შენის სიცოცხლისა ძილშა კი გადის და!

×

მაიცადეთ ჩვენ სოფელშიც იქნება დღეობა!
(ნემეცური ანდაზა.)

ჰო, სულ ყველა, ყველა, მაგრამ ამ წურბელა ურიებს რადა უნდათ? რატომ არ დაეხსნებიან ამ საწყალს გლეხსა! ისე ტოკვენ მოუკრეფავში, როგორც მგლები. აქამდინ დანიშნულ სოფლებში სცხოვრობდენ ხროვა ხროვად და აქედან დაჰქონდათ საგაჭრო ფარჩა,—ოხრათ დარჩა და ახლა ყველა სოფლებში შესიენ. აქ აღებენ დუქნებსა და ფარჩის დეპოებს და ისე ჰყვლეფენ გლეხსა, რომ ღმერთმა შეარცხვინოს ამასთან ჩვენი ჯიბმეისტარი კინტო. ნეტა იცოდეთ ამათი მანქანება! ხომ გაგეგონებათ თქვენც და ზოგს კიდევ მე გეტყვით. გამოიტანენ ან პრიკაზიდან ან ბანკიდან ფულს იაფის სარგებლით და მერე ავალებენ გლეხს ორ აბაზად და ათ შაურად. ერთმა ქვრივმა დედა-კაცმა იყიდა ოთხი არშინი ამერიკა, აბაზათ არშინი და დაჰპირდა ერთს კოდს ქერს კალოობაზე. ქერი იმ წელიწადს არ მოვიდა, მოსცდა და შენმა გაჭარმა დააწერა 5 მ. შენს დედა-კაცს. ამ ნაირად ატარა, ატარა და ექვს თუმნამდინ აიყვანა სამ-ოთხ წელიწადში და ბოლოს კიდეც წაართვა. ერთი გლეხი დაუდგა თავდებად ამავე გაჭართან მეორე გლეხს ოთხს მანეთში. მოვახშემ ვალზედ უარი ჰსთქვა, თუ რადაც, იმ თავდებს თხუთმეტი თუმანი კი გადააგლიჯეს. ეს ისევე შეადგინა, როგორც იმ დედა-კაცის ფული. ერთ კვირაში ერთმა ახლად გაღებულმა დუქანმა მოიგო ოცი თუმანი ფულად და ოცი კოდი ჭირნახული (კოდი ოთხი, ხუთი მანეთია). აჰ, სად არის ეხლა ჩვენი ახალი შულცე, დელიჩადამ კი არა, კავთის ხევიდამ, რომ ურიობას სინსილას არ გაუწყობს.

გ. გოდორია.

---

**წერილი ქართლელის მიმართ.** („ივერიის" კორრესპონდენცია.) უფ. ქართლელო! «ივერიის» 10 ნომერში ცოტაოდე შეცდომილება გქონდათ კავთისხევის შკოლაზე და ამიტომ ვალდებულად ვრაცხ ჩემ თავს, როგორც იმ შკოლის მზრუნველი, მოკლეთ შეგატყობინოთ აწმავალი კავთისხევის შკოლის საქმე, თუმცა წარსულს ზაფხულს, რამდენჯერმე იყო მოხსენებული «ივერიაში».

აი, ჩემო ქართლელო, ამ ხუთის წლის წინეთ გორის მაზრის უფროსმა და სხვათა განიზრახეს სახელოსნო შკოლების გამართვა, ერთი—სოფელს მეჯვრიხევში, სადაც კიდეც არსებობს და მეორე სოფელს ახალქალაქში. რასაკვირველია, მარტო ახალქალაქს არ შეეძლო სახელოსნო შკოლის შენახვა, მას შეუერთეს განჩინებით მის გარეშემო სოფლებიც, სხვათა შორის კავთისხევიც. იმ დროდგანვე კავთისხევს შეჰქონდა ხაზინაში, ხალქალაქის სახელოსნო შკოლის სასარგებლოდ ოცდა ექვსი თუმანი ფული. ამ ფულში კავთისხევის საზოგადოებას ჰქონდა ნება აღეზარდნა ხსენებულ შკოლაში მარტო ოთხი ყმაწვილი წელიწადში. ასეთი მდგომარეობა კავთისხევისა ზოგიერთმა დაინახა უსაფუძლოდ, ამიტომ წარსულ ზაფხულს

შეიყარა ხალხი და დაადგინა ახალი განჩინება. ამ განჩინებით სთხოვდა, რომ მისთვის მიეცათ კავთისხევში საკუთარი სასალხო შკოლის გახსნის ნება, დაებრუნებინათ შეტანილი ფულები, რომლითაც ვალდებულნი იქმნებიან ააშენონ შკოლა. ამოირჩიეს მზრუნველები, მიანიჭეს საკუთარი უფლებანი, შკოლის გამართვისა და მისის მოწყობილობის შესახებ. ეს განჩინება წარუდგინეს მაზრის უფროსს, მან წარუდგინა გუბერნატორს. ეხლა განჩინება ხალხისა დაამტკიცეს და ამ ზაფხულს უნდა შეუდგეთ შკოლის მომართვას. იმედი გვაქვს პირველ სეკტემბრისთვის სწავლა დავიწყოთ თუ საკუთარ სახლში არა, ნაქირავებში მაინც. შკოლის აშენებაზე ჯერედ არაფერი მოლაპარაკება არა გვქონია. მიკვირს საიდგან გაიგეთ, რომ მექანარე მღვდელი შკოლისათვის მშვენიერ ადგილს ჰსწირავსო. მაგრამ ტყუილ უბრალო ტიკტიკი ზნეთა სჭირთ მღ. დიმიტრი მექანარეს და კავთისხევის მღ. დ. ბარნაბოვს. ბატონო, მექანარემ თუნდ რომ ასი იმდენა ადგილი შეჰსწიროს, ხალხი მაინც ვერ გაბედავს მის ადგილზე შენობის გაკეთებას; თვითონ უსახლკაროთ დაიარება აქეთ იქით, სახლი არა აქვს, რამდენიმე ხანს შემდეგ წაედავება და წაართმევს. მისგან ამ გვარი საქმეები პირველი არ იქმნება. აღარც ამაზე ნაკლებია მღ. დავით ბარნაბოვი. ერთის გლეხის სახლში ნათხოვრათ იდგა, რამდენი ხნის შემდეგ დავა გამოუცხადა. უფ. ქართლელო, თუ აგრე გიყვარს ამათთანა მღვდლები, მიკვირს ბარნაბოვი რაღად დაგვიწყებია და არ გიქია. ესეც თქვენგან ნაქების მღვდლის ჯურის კაცია.

წასულ წელს დროებაში რამდენჯერმე აქებდნენ და აქებდა თავის თავს, მღ. ბარნაბოვი, იკვეხდა—დიდად ვშრომობო კავთისხევის შკოლაში, თუმცა კავთისხევში შკოლა ჯერ აქამომდენაც არ არის; მაგრამ იქნება შკოლათ მიაჩნდეს ის, რომ ოთხი პატარა ყმაწვილი ნათესავებისა აბარია და სწორედ მოგახსენოთ, სულს ართმევს კავთურის აღმართზე წყლის ზიდვითა. ამაებს იმიტომ მოგახსენებთ რომ გაფთხილებული ბძანდებოდეთ, ვინც ღირსი არ არის ქებისა ტყუილ უბრალოდ არ აქოთ და შეცდომილებაში არ შეიყვანოთ მკითხველები.

კავთისხეველი.

1878 წ. მარტის 24.

---

## როგორ ყიდულობენ აბრეშუმს და პარკს სომხები კახის უჩაკტკაში. («ივერ.» კორ.)

ამ ჩვენს ქვეყანაში აბრეშუმის მოსავალი კარგი არის ხოლმე, მაგრამ მავარი ეს არის, რომ ზოგს კარგად მოჰსდის და ზოგს უფუჭდება. ამ გაფუჭებას ზოგი თვალს და ზოგი ბაბაყულს მძივს აბრალებს, ე. ი. სხვა და სხვა ნაირი ბრწყინვალე მძივები ანუ ქვები აქვთ, რომლებსაც ბაბაყულათ უწოდებენ, (ბაბაყული არის—მავნებელი) ამისთანაები არის ზოგ სახლში ძველადგან დარჩომილი, ეხლაც ეს მიზეზები სწამთ. აბრეშუმის დროს აქ ყველას საკუთარი მანჯანიკი (აბრეშუმის სახვევი) აქვთ; მაგრამ თითონ პატრონებმან კი ამოხვევა არ იციან, ფასით სხვებს ახვევინებენ. როცა აბრეშუმი მზათ აქვთ, მაშინ სახლის პატრონი წავა და თავის ყონაღს—სომეხს ეტყვის, რომ ხვალე მოდი და აბრეშუმი იყიდეო. ბაზარში არ მიიტანენ,—„სხვები ჰნახავენ, თვალი ეცემაო.“ სომეხი როცა მოვა, მემანჯანიკეს (ვინც აბრეშუმს ახვევს) ანიშნებს თავისის მხრით პატივისცემას, ე. ი. ქრთამს, და აბრეშუმს ჰსინჯვას დაუწყებს, თან თავს აქეთ-იქით იქნევს, და უსაყვედურებს ოსტატს. „რად გაგიფუჭებია ამ საწყალის პარკი, კარგად არ ამოგიხვევიაო!“ ოსტატიც მიზეზებს ამბობს: „პარკი არ ვარგოდაო, ავდრები იყოო, წყალი მღვრიე იყოო და ამისთანაებს...

ახლა ფასი მითხარ! ეუბნება სომეხი. სახლის პატრონიც ამბობს:

—„ნუხში ამა და ამ ფასათ იყიდებაო.“

—„ის ნუხაა და ეს კახი, შენ აქაური ფასი მითხარი.—ჩვენ სოფელში მავანს ამა და ამ ფასათ გაუყიდნიაო,“ ამბობს გლეხი.—ის კი არ იცი, რომ იმისი აბრეშუმი და შენი, ბევრათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან! თუ მე არ მერწმუნები, ამ ოსტატსა ჰკითხე, ეს თავის ხელობას ხომ არ დაამცირებს,“ უპასუხებს სომეხი. ოსტატიც ამტკიცებს, რომ არ ვარგა. ამაობაში, სომეხს როგორაც ჰსურს ეგრე ურიგდება ჩვენ გამოურჯებულ ინგილოს. ფასზედ რომ მორიგდებიან, ახლა უნდა აჰსწონონ. სომეხი ამოიღებს ხურჯინიდამ ფიცრის ვერთელა სასწორსა, თან სტილსა, (სტილი ქვა არის 50 მისხალი გირვანქისა). წინეთ ეს სტილი იყო თორმეტი ვერცხლის მანეთიანის წონა. ახლა სომეხმა გლეხი უნდა დაარწმუნოს, რომ ამისი სტილი—ქვა მომატებული არ არის. ამაობაში ერთი მძიმე ძველი ვერცხლის მანე-

თიანი თან აქვს, დაიწყებს ამ ვერცხლის მანეთიანით თავისის ხაშინლის სასწორით შეწონასა; ასე, რომ ეს ერთი მანეთი 12 ჯერ უნდა აჰსწონოს, რომ ერთი სტილი შეადგინოს. ჯერ ამ მანეთებით ცოტათი გულს მოიმედებს სომეხი, ამასთან ახლა ერთის სტილით სამიოდე ფუთამდინ აბრეშუმის წონა არ შეიძლება, აქაც უნდა ჩარექი შეადგინონ. ახლა მოჰყვებიან ჩარექის შედგენასა. ერთი ჩარექი 12 სტილია, მაშასადამე მანეთით თითოჯერ შედგენილი სტილი თორმეტჯერ უნდა აწონონ, რომ ჩარექი დაიჭიროს. იფიქრეთ აქ რამდენი სიმრუდე იქმნება გაქნილის ვაჭრებისაგან. რამდენადაც მრუდობს, იმდენად გამხიარულდება ჩვენი ყონაღი, და ალერსით ეუბნება აბრეშუმის პატრონს:—„ღმერთმან აცხოვნოს ჩვენი მამა-პაპა! როდისაც ეს ვერცხლის მანეთები გვქონდა, მაშინ იყო ქვეყანაზედ ხეირი და ბარაქა. ისევ მამა-პაპის ჩვეულება თუ მოვიგონეთო, ამისთანა მანეთებიც ბევრი გვექნებაო. დაილოცა ისევ ჩვენი მამა-პაპური ჩვეულებაო! მამა-პაპათ ჩვეულება არისო, ფარჩის გაყიდვაში ჩვენ თქვენ გაჩუქებთ ხელსახოცსა; ახლა თქვენც აბრეშუმის გაყიდვაში უნდა ერთი ნობათი აბრეშუმი გვაჩუქოთ!„ ერთი ნობათი აბრეშუმი შეადგენს სამს ჩარექს გირვანქისას, გირვანქა აბრეშუმიც იყიდება 5 მანეთად, ხან-და-ხან 8 მანეთადაც გადის. ამ რიგად ნობათსაც გამოჰსცინცლავს. მაგრამ გაუმაძღარი სომეხი ამასაც არ დასჯერდება. ერთს კიდევ სხვა ნობათს აბრეშუმსაც საჩუქრათ წაიღებს, როგორც ერთგული ყონაღი.

მკითხველს ეს ჩემი ლაპარაკი, პირველის აპრილის ტყუილი ეგონება. ამისათვის მკითხველს ერთ ნამდვილად მომხდარს ამბავს გაცოდინებ. ჩვენს ბაზარში არის სომეხი მოვაჭრე, გვარად ტი—ვი. ამას მეტს სახელს ეძახიან ბათმან აიაღსა. ქ. ი. თათრულათ ბათმანი არის წონაში სახმარი ფუთიანი და აიაღა არის ფეხი. მე ზემოდ, სტილზე და ჩარექზე მოგახსენეთ, ბათმანზედ კი ვერაფერი გითხარით რა. ბათმანი ოთხი ზემოხსენებული ჩარექია. ერთხელ ხსენებული ტ—ვი აბრეშუმის სასყიდლად, გახში ერთს ინგილოს სახლში მივიდა. როგორც იყო სომეხი მოურიგდა ფასში, ახლა იმან თავისის პატიოსნებით არ იკადრა წვრილმანების გამოდგომა, მანეთიანით სტილის და სტილით ჩარექის შედგენა არ ინება და უთხრა გამსყიდველს: „ყონაღო, მე შენ გიცნობ და შენ მეო, ტყუილ უბრალოთ ჯაფა რად გავსწიოთო. მე ფეხი აწონილი მაქვსო, სწორედ ერთი ბათმანიაო, მოიტა ავსწონოთო. სასწორის ერთს თვალში ფეხი დააბჯინა,—და მეორე თვალში აბრეშუმი ჩააწყობინა, თანაც სახლის პატრონს უსაყვედურა—ვერ გაგიხმიათ და აბრეშუმი გაგიფუჭებიათო.“ ამ ნაირად აბრეშუმი სომეხმა აიწონა და წაიღო. ეს ამბავი შეიტყეს ჩვენის სოფლის მკელ მოხელეებმაცა და დასასჯელად ბათმანაიაღი დაარქვეს. ეხლაც დაწესებული და ნაკურთხი სახელი ბათმან აიაღი ეწოდება ამ სომხის ვაჭრების მშვენიერს წარმომადგენელს.

ი. მ. მ. ყ.

24 მარტს 1878 წ.

---

ჩვენ მოგვივიდა შემდეგი ანგარიში გაზეთში დასაბეჭდათ:

შემოიტანა სულ „ვენეციელი ვაჭრის“ წარმოდგენამ 629 მანეთი და 10 კაპ. ამ ფულში ირიცხება გაყიდულ ბილეთების ფასი და აგრეთვე 21 მან. და 50 კაპ., რომელიც შემოტანილ იქმნა ბილეთების ფასს გარედ. მაგალითად ერთმა პირმა შვიდ მანეთიან ლოჟაში მისცა 25 მანეთი.

ამ ფულიდამ დაიხარჯა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თეატრის ქირა უფ. პალმს . . . . . . . | 200 | » |
| ფორტოპიანოს დამკვრელს წარმოდგენისათვის და უმთავრესად რეპეტიციისათვის . . . . . | 10 | » |
| აფიშების ბეჭდვა და ქაღალდი . . . . . . . | 6 | » |
| ამწყობლებს მუქთი ბილეთები გალლერეაში . | 2 | 10 |
| აფიშების დიდის ასოების ამომჭრელს . . . | 2 | » |
| გარდერობშჩიკს (ტანისამოსის შემნახველს) . | 5 | » |
| მკერვალს ქალსა . . . . . . . . . . . . | 5 | » |
| სამს პარიკმახერს . . . . . . . . . . . | 5 | » |
| თეატრის კასსირს . . . . . . . . . . . | 5 | » |
| უმთავრესი რეპეტიციისათვის მსახურების ქირა, რადგან კვირა დღე იყო . . . . . . | 3 | » |
| მთვარესებრივი განათება და ნივთების შემნახველს . | 3 | » |
| სამი კოლოფის გაკეთება: ოქროსი, ვერცხლისა და ტყვიისა. . . . . . . . . . . | 2 | 25 |
| წარმოდგენის დროს მსახურებს. . . . . . | 4 | 60 |
| სულ დაიხარჯა . . | 253 | 55 |

დანარჩენ ფულიდამ 375 მან. და 55 კაპეიკიდამ, ხოვლის შკოლის გამგებელს მიეცა შკოლისათვის 100 მან. დანარჩენი 275 მან. და 55 კაპ. ქვიშხეთის შკოლისათვის არის გადადებული და ჯერჯერობით შეტანილია ბანკში.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

რა გითხრათ საპოლიტიკო მდგომარეობაზედ? დღეს მოდის დეპეშა—აი ეს-ეს არის ომიანობა მოსალოდნელიაო; ხვალ მოდის ამბავი—ეხლა კი ლამის მშვიდობიანობა დამყარდესო. ერთის სიტყვით—იქ, სადღაც, შორს საიდუმლოდ რაღაცა კეთდება და ჩვენ კი დღეს ერთს ამბავს მოგვიგდებენ ხვალ მეორეს—როგორც გინდა ისე გაიგეო..... რაც უწინ გავიგეთ დღესაც ის არის: ინგლისი ეუბნება რუსეთს კონგრესის გარდაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოვო, თუ არა და კონგრესი ტყუილ-უბრალოდ დროს დაკარგვა იქნებაო. რუსეთი ეუბნება კონგრესის წინააღმდეგი არა მაქვს რაო, მაგრამ სრული თავისუფლება უნდა მქონდესო დამორჩილებისაო. რაც შეეხება სან-სტეფანოს შერიგებას თითქმის მთელს ევროპას არ მოსწონს ამ შერიგების ოქმი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთი აშკარად აცხადებს თვის უკმაყოფილებას, მეორე, როგორც მაგალითებრ გერმანია, ქვეშ-ქვეშობით. დასთმობს რუსეთი—კარგი, თუ არა და დიდი სისხლის ღვრა მოელის ევროპას.

---

**რუმინია.** სან-სტეფანოს შერიგების ძალით, როგორც მოგეხსენებათ, რუმინიის ერთი ნაწილი—ბესსარაბია გაცვლილ უნდა იქმნეს დობრუჯაში, რომელიც ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო. რუმინიას ძალიან სწყინს ეს განკარგულება რუსეთის მთავრობისა და რითაც შეუძლიან უჩივის რუსეთს ევროპიის წინაშე. ამისათვის რუმინიამ გაუგზავნა ყველა სახელმწიფოს სან-სტეფანოს შერიგების ოქმის წინააღმდეგი წერილი, რომელშიაც სხვათა შორის მოხსენებულია შემდეგი:

„...რუმინიის მთავრობა, აღძრული თავისის ღირსების გრძნობითა, ჰხედის თავის ვალად გამოაცხადოს, რომ იგი სან-სტეფანოს მორიგების პირობათა არ რაცხავს თავის შესახებ ვალდებულად, რადგანაც მრავალნი მუხლნი არღვევენ რუმინიის უფლებათა და ინტერესებს. რუმინია განთავისუფლდა არა სან-სტეფანის პირობების ძალით, რომელშიც იმას ყურადღებასაც არ აქცევენ, არამედ თავის ენერგიულის მოქმედებით ბრძოლის დროს. რაც შეეხება განთავისუფლებას ოსმალთაგან, რუმინიას სურს, რომ იგი აღიარებულ იქმნას კონგრესისაგან, რომლის წინაშეც იგი წარსდგება და რომელიც, რასაკვირველია, არ დაიდებს კანონად რომ მეომარნი სალაპარაკოთ არ მივიღოთო. ზოგიერთნი მუხლნი სან-სტეფანოს მორიგებისა ეხებიან იმ საგნებს, რომელთაც გარდაწყვეტა ჩვენ პირ-და-პირ შეგვეხებიან. ეს საგნები არის ბესსარაბიაზედ, მომავალში სამხედრო ხარჯის გამოანგარიშებაზედ, რომელიც პორტამ უნდა მისცეს რუმინიას, და რუმინიის სამფლობელოზე იმპერატორის ჯარების გზადსვლა.

სიმართლე მოითხოვს, რომ კონგრესმა გახსნის უმალვე ყველაზე უწინარეს მოისმინოს ჩვენი აზრი ამ საგნებზედ, რადგანაც იგინი ეხებიან, როგორც ჩვენის სამფლობელობის ნივთიერს მხარეს, ისეც ჩვენის შინაგანის პოლიტიკის ზნეობით შეუხებლობას, და ჩვენს ეკონომიურს მდგომარეობას. საჭიროა მოვაგონოთ ის, რომ ოსმალეთის ციხეები ნიკოპოლიდამ ვიდინამდინ, რომელთა დანგრევაც ჩვენ მოვითხოვეთ 22 ივნისიდამ 1877 წ., დაჭერილ იყვნენ ჩვენის ჯარებით რუსეთის უმთავრესის ბანაკიდამ ბრძანების ძალით, როგორც ნივთიერი გარანტია, რომელიც გვაძლევს ჩვენ უფლებას თავის დროზედ დაგვეწყო პორტასთან ბაასი მაზედ, თუ რამდენი სამხედრო ხარჯი ერგებოდა რუმინიას?

შეერთება ამ ციხეებისა, სან-სტეფანოს მორიგების ძალით, ბოლგარიასთან, აუქმებს ამ გარანტიის სიმტკიცეს და გვართმევს ჩვენ ხელიდამ ყოველსავე ძალას საზღაურის მიღებისას. საჭიროა მოვაგონოთ, რომ მეოცე მუხლი სან-სტეფანოს მორიგებისა გვიმარტებს ოსმალოს იმპერიის გაჭირვებულ მდგომარეობას ფინანსის მხრით, და მაშასადამე უფლება, რომელიც მიეცა რუმინიას ამ პირობის მე-5 მუხლის ძალით, რომ მიიღოს სამხედრო საზღაური, არის apriori და უნდა ჩაიაროს ამაოდ, რადგანაც იგი არაფრით არ არის დახათრიჯამებული. საჭიროა ვუჩვენოთ ის თვისება მორიგებისა, რომ ადრითვე პირობის შეკვრა რუმინიასთან, შესახებ რუსეთის ჯარების დაბრუნებისა, ბოლგარიაში მყოფობის ორის წლის შემდეგ, ჩაირაცხა მეტ ჯაფად, და ის რომ ამ საგნის შესახებ შეჰკრეს პირობა ოთომანების იმპერიასთან, მაშინ, როდესაც გადასასვლელად რუსის ჯარებისა რუმინიით ბოლგარიაში საჭიროდ აღიარეს კონვენცია რუმინიასთან. საჭიროა განვმარტოთ,

რომ რუმინია არც ერთხელ არ დამცირებულა ისე, როგორც მცირდება ეხლა იგი ამ სტატიის ძალით, რომელიც ხდის მას მონად და არის ჩართული იმავე მორიგების ფურცელში, რომელშიაც არის ლაპარაკი იმის დამოუკიდებლობაზედ? გარდა ამისა, საქმე ბესსარაბიის შესახებ სულაც არ არის მხოლოდ ადგილობრივი საქმე, და ამისთვისაც ვერ გადაწყვეტილ იქმნება ორის მხრის ერთმანეთშა მორიგებით. იგი, ცხადი საქმეა, უნდა განიხილოს ევროპამ, რადგანაც იგი წარმოადგენს 1856 წლის ოქმის არსებითს ცვლილებას—მართებლობის შეცვლას იმ მხარეში, რომელშიაც მთელი ევროპის ინტერესებია. უპირველესი შედეგი ამ ცვლილებისა იქმნება გავრცელება დუნაის ტოტების მნიშვნელობისა იმ მაზრის რომელიც მდებარეობს რენსა და იზმაილს შორის.

ამას გარდა, სან-სტეფანის მორიგება სცვლის 1856 წლის დადგენილებათა შესახებ დუნაის სამუდამო კომმისიისა; იგი არღვევს საქმის მდგომარეობას, განმარტებულს პარიჟის ტრაქტატის მე-17 მუხლში. ერთის მხრით, დადგინება ავტონომიურის ბოლგარიის სამთავროსი რიცხავს კომმისიიდამ ოსმალეთს, მეორეს მხრით რუსეთისაგან ბესსარაბიის დაჩემებას შემოჰყავს ამ კომმისიაში ახალი წევრი. ამის გამო, თანასწორობა კომმისიის გარდაწყვეტილებაში თუ არ ირღვევა, საკმაო განსაცდელში მაინც შეჰსდგამს ფეხს, რადგანაც მომავალში ხმები განიყოფებიან ამ სახით: ერთი გერმანიისათვის (წარმომადგენლობა ბავარიისა და ვირტემბერგისა), ერთი ავსტრი-ვენგრიისათვის, ერთი რუმინიისათვის, ერთი რუსეთისათვის, ერთი სერბიისათვის და ერთიც ბოლგარიისათვის. ამის გამო უპირატესობა ქვემო დუნაიზედ მიიღებს კრება სახელმწიფოებისა, რომელნიც სხვა და სხვა მდგომარეობისა გამო, მიიღებენ მხედველობაში უფრო თავეთ ნათესავობით შთამომავლობას და პოლიტიკურ დაკავშირებას, ვიდრე მთლად ევროპის სავაჭრო სარგებლობას და ეკონომიურს მოთხოვნილებას. ამაში მდგომარეობს კიდევ ერთი და ძლიერი საფუძველი, რომლის ძალითაც უნდა დაესწრენ ყველა სახელმწიფონი, რომელთაც კი ეს საქმე შეეხება, როდესაც დაიწყებენ საგნების განმარტებას მომავალს კონგრესზედ.

თვით სიმართლე ლაპარაკობს ჩვენს მაგივრად, რადგანაც ჩვენი საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს უსამართლობა იქმნებოდა, რომ ჩვენი აზრიც არ მოესმინათ; თუ რომ ევროპა უარ ჰყოფს ჩვენს დასწრებას კონგრესზედ და დაიწყებს ჩვენდა შესახების საგნის განხილვას და გადაწყვეტას უჩვენოთ, მაშინ იგი დაასრულებს საქმეს ჩვენის გამორიცხვისას, რომლის მსხვერპლი ჩვენ უკვე გვხდებით სან-სტეფანოში მორიგების წყალობით და რომელსაც მთავრობამ ვალად იღო წინააღუდგეს.

ესრეთია, უფ. აგენტო, მოსაზრებანი, რომელნიც უნდა დაუმატოთ ჩემს წინანდელ ცნობებს,—მოსაზრებანი სხვა და სხვა თვისებისანი, მაგრამ ერთგვარად საფუძვლიანები, რომლებზედაც არის დამყარებული ჩვენი იმედი დავიჭიროთ კონგრესზედ ჩვენი საშესაბამო ადგილი. ამისათვის ინებეთ მიაქციოთ ყურადღება..... იმ კაბინეთისა რომლის წინაშე თქვენ ხართ, და ეცადეთ მიიღოთ თანხმობა რუმინიის კონგრესზედ დასწრებაზედ.“

---

## საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი.

იმ დროს, როდესაც სპარსეთის გავლენა და საბერძნეთის გავლენა საქართველოში ერთი მეორეს ებრძოდნენ, ჩვენ ქვეყანაში, ქართლის ცხოვრების თქმით, პირველად დაფუძნა მეფობა ფარნავაზმა. ფარნავაზი მეფობდა 302 წლიდამ 237 წლამდე ქრისტეს წინ. ვიდრე ფარნავაზი მეფედ დაჯდებოდა, იმან დიდი სამსახური თურმე უძღვნა საქართველოს: მოსპო აქ უცხო—ტომთ ბძანებლობა და სრული თავისუფლება მიანიჭა თავის მამულს. ეს უცხო—ტომთ ბძანებლობა შეუდგა საქართველოს დაჭერას ალექსანდრე მაკედონელის მიერ. „ალექსანდრე მაკედონელი, ამბობს ქართლის ცხოვრება, რომელმაც დაიპყრნა ყოველნი კიდენ ქვეყნისანი, გამოვიდა დასავლეთით, შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნო კავკასზნი და მოვიდა ქართლად. აქ ჰპოვნა ციხე—ქალაქნი შუა ქართლ,—სადაც ჰპოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი.... იმან განუყო ლაშქარი თვისი და ყოველთა ციხე—ქალაქთა მოადგინნა; თვით დადგა მცხეთას და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოდ და ქვემოდ, და თვით დადგა ქსანსაზედა... მტკვრის—ციხესა და თუხარისსა არა ბრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად. ხოლო სხვანი ციხენი და ქალაქნი

დაიპყრნა ექვსი თვე. ხოლო სარკინელთა თურქთაგანთა ავინეს მეფესა... მაშინ ალექსანდრემ მოიცვა ქალაქი სარკინე და ვერა სადით განერა ერთიცა კაცი... მან მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და დაატყვევნნა და დაუტევნა ნათესივნი ქართლოსიანნი და დაუტევა მათზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისა, ნათესავი მისი, ქვეყანით მაკედონით. და მისცა ასი ათასი კაცი ქვეყანით რომით, რომელსა ჰქვიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მხნენი, ეკირთებოდეს ქვეყანასა რომისასა, და მოუვანნა ქართლად, მისცა აზონსა პატრიკსა; და დაუტევა ქართლს ერის—თავად აზონ პატრიკი და მისთანა სპანი იგი მპყრობლად ქართლისა და უბრძანა ალექსანდრემ აზონს, რათა პატივსცემდენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა. ხოლო ამან აზონმან მოარღვივნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისა საფუძველითურთ და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნიც მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი და ერთი ციხე დასასრულსა არმაზის ცხვირისასა, და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა: მეოთხე ციხე დასავლეთ, მცხეთა მტკვარსა ზედა. და ესენი მომტკიცნა და განავსნა იგინი ლაშქრითა, და ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღვივნა ზღუდენი, და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ბერდუჯის მდინარიდგან ვიდრე ზღვამდე სპერისა. დაიპყრნა ქართლსა ზედა ეგრისიცა და მოხარკა ჰყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი [1]."

ფარნავაზი იყო მამით ქართველი, შთამომავალი უფროსის ძისა მცხეთოსისა, დედით სპარსი ისპაჰანიდამ. ის იყო ძმის-წული სამარასი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მოსვლის დროს მამა—სახლობდა მცხეთაში და თავის ძმითურთ, ფარნავაზის მამით, მოიკლა ალექსანდრესაგან. სამის წლისა ფარნავაზი დედამ შეჰხიზნა კავკასიის მთაში და იქ აღზარდა; შემდეგ ისევ მცხეთას მიჰმართა. ფარნავაზ იყო გონიერი, შემმართებელი მხედარი და დახელოვნებული მონადირე. აზონის შიშის გამო ის კაი-ხანი ჰფარავდა თავისს ღირსებას. აზონმა იცნა ფარნავაზი და „შეიყვარა კიდეც იგი მონადირობისათვის." დედა ფარნაოზისა აზონს შიშით უმზერდა და დაიყოლია შვილი თავის ძმებთან წასვლაზე ისპაჰანში. თუმცა ფარნავაზს „ჭირ—უჩნდა დატევება საყოფლისა მამათა მისთასა," მაგრამ ერთმა წინასწარ—მაუწყებელმა სიზმარმა სრულებით გაჰფანტა იმისი ნისლით მოცული ფიქრი. „ესე არს—სთქვა იმან—მე წარვალ ასპანს და მუნ სიკეთესა მივეცემი." ამ ყამად, როდესაც ის მარტო ნადირობდა დიღმის ველში და ისრით დაკოდილს ირემს სდევნიდა, ფარნავაზი მიაწუდა, მწუხრის დროს, ერთს ძველადვე ქვით ამოქოლილს კლდის—ქვაბს. ფარნაოზმა გამოარღვია კარი და შევიდა შიგნით. აქ ჰპოვა „მიუწდომელი განძი, ოქრო—ვერცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისა მიუწდომელი." განცვიფრებულმა ფარნავაზმა მოიგონა თავისი სიზმარი და აცნობა დედას ორის დითურთ. მოვიდნენ სამნივე ღამე სახედრებით და ჭურჭლებით, „იწყეს განძის გამოღება. განთიადისას კვალად აღმოქმნიან კარი ქვაბისა მის და ეგრეთ გამოკრიბეს იგი ხუთ ღამეს და დაიგულეს სიმარჯვესა მათსა."

მაშინ ფარნავაზმა წარუგზავნა მონა ეგრისის მფლობელს ქუჯს. „მე ვარ —შეუთვალა ქუჯს—ნათესავი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა, და ძმის—წული სამარა მამასახლისისა; და არს ჩემთან ხვასტაგი დიდ—ძალი; აწ ინებე რათა მით ხვასტაგითა მოვიდე შენთანა და ვიყვნეთ ჩვენ ძმა, და ვიხმაროთ ხვასტაგი იგი ორთავე: გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზონს ერის—თავს და სვემან ჩვენმან გვცეს ჩვენ ძლევა კეთილი." მიწვეული ფარნავაზი ფარულად გაემგზავრა დედით და დებით, და თან წაიღო განძი. შემდეგ რჩევისა, ფარნავაზმა მოიწვია ოს—ლეკნი, რომელნიც მტრობით შესცქეროდნენ აზონს ხარკის გამო, შემოიკრიბა ეგრისით ურიცხვი სპა და გაელაშქრა. „აზონმაც მოიწვია თავისი სპა, შემოიკრიბა ათ-ასი რჩეული რომთაგანნი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისგან; განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა. მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს: თვით სპანი, რომელ დარჩენილ იყვნეს, ვერღარა მიენდო მათ, რამეთუ ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა. ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი, და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი, თვინიერ კლარჯეთისა."—მეორე წელს აზონი საბერძნეთით მოწვეულის ახალის სპით გაელაშქრა ფარნავაზზე.

[1] ქართლის-ცხოვრება, I, 27—28.

ფარნავაზმა ქუჯისა, ოსებისა და ანტიოქოზის სომეხთ ერისთავთ შემწეობით სრულებით სძლია ბერძნებს არტანის ნაქალაქევს, „რომელსა ერქვა ქაჯთა—ქალაქი, რომელ არს ჭური." აზონი მოიკლა; ურიცხვი მისი სპა მოისრა და დატყვევებულ იქმნა. ფარნავაზმა წარმოსტყვენა საზღვარი საბერძნეთისა, და დაიპყრა კლარჯეთი, შემოვიდა მცხეთას დიდის სიხარულით, და სიმდიდრესა მისსა ზედა დაერთო ხვასტაგი აზონისაცა და იქმნა სიმდიდრე გარდარეული."

«განამრავლნა ფარნავაზ ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერის-თავნი რვანი და სპასპეტი. ერთი გაგზავნა მარგვის ერის-თავად, და მისცა მცირით მთიდგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღვამდე, რიონს ზემოთ. ამანვე ფარნავაზ აღუშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა. მეორე გაგზავნა კახეთისა ერის-თავად, და მისცა არაგვითგან ვიდრე ჭერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი. მესამე გაგზავნა ხუნანისა ერის-თავად, და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტბილისამდე და გაჩიანამდის, რომელ არს გარდაბანი. მეოთხე გაგზავნა სამშვილდეს ერის-თავად, და მისცა სკვირეთისა მდინარიდგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი. მეხუთე გაგზავნა წუნდას ერის-თავად, და ფანავარითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა, რომელ არს ჯავახეთი, კოლა და არტანი. მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერის-თავად, და მისცა ტაშის-კარიდგან ვიდრე არსიანთამდის ნოსტის თავითგან ზღვამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა. მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერის-თავად, და მისცა არსიანითგან ვიდრე ზღვამდე. და ქუჯი იყო ერის-თავი. მერვე დაადგინა სპასპეტად და მისცა ტბილისიდგან და არაგვიდგან ვიდრე ტაშის-კარამდე და ფანავარამდე, რომელ არს შიდა-ქართლი. ესე სპასპეტი ყოვლადვე წინაშე მეფისა მთავრობდის, განაგებდის ყოველთა ერის-თავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქვეშე, ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათ-ასის თავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდა ხარკი სამეფო და საერის-თავო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ, მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა. ფარნავაზმა მოიყვანა ცოლი დურძუკელთა, ნათესავი კავკასისი, მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი მოოხრებულნი ალექსანდრესაგან, და მან აღაშენა იგინი, და ვერღარა იძიეს შური ბერძენთა ფარნავაზსა ზედა, რამეთუ უცალო იყვნეს იგინი უფლისაგან რომთასა. ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა. ესევე არს არმაზი და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის. და ქმნა სატფურები დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა. ოც და-შვიდის წლისა მეფე იქმნა და სამოც-და-ხუთის წელს მეფობდა ნებიერად და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანისასა. ყოველნი დღენი მისნი, რაი დაჯდა, მშვიდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი. ხოლო თვენი გაზაფხულისანი და სთვლისი არისანი დაყვნის მცხეთას სამეფოსა, და თვენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა; ხოლო თვენი ზაფხულისანი წუნდას; და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი და განაგის ყოველი საქმე დაშლილი. ხოლო რომნი იგი ათ-ასნი მხედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნაოზს, იგინი განჭყვნა ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისა მხნედ იყვნეს, და უწოდა მათ სახელად აზნაური [1]."

(შემდეგი იქმნება.)

## სასამართლოს მატიანე. *)

### ზასულიჩის ქალის საქმე (პეტერბურღის ოლქის სასამართლოში).

31 მარტს პეტერბურღის ოლქის სასამართლოში ნაფიც-მოსამართლეთა წარმოუდგათ წინ ახალგაზდა ქალი, მშვიდი და სასიამოვნო სანახაობისა, რომელმაც 24 იანვარს დამბაჩა ესროლა პეტერბურღის პოლიციის უფროსს, ღენერალ-ადიუტანტს ტრეპოვს და მძიმედაც დასჭრა. ზასულიჩის ქალს დაედვა ბრალი ღენერალ ტრეპოვის მოკვლის სურვილისა. დილის თერთმეტის საათიდამ საღამოს შვიდ საათამდე, ვიდრე საქმე არ გათავდებოდა, პეტერბურღის ოლქის სასამართლო გაჭედილი იყო ხალხითა, რომლის უმეტესი ნაწილი ეკუთვნოდა პეტერ-

1) ქართლ.-ცხ. I, 28—32.

*) ადგილის უქონლობის გამო საქმე ანდრეევსკის ქალის მოკვლისა (შემდეგი) დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

ბურღის უმაღლეს საზოგადოებას. მის შორის იყვნენ სენატორები, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, თვით კანცლერიც, თ. გორჩაკოვი. გარდა ამისა დაესწრნენ პეტერბურღის ყველა ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი. არამც თუ თვით სასამართლოში, არამედ სახლის წინ ქუჩაშიაც კი იყო უშველებელი გროვა ხალხისა, რომელიც მოუთმენლად ელოდა მოსამართლეთა განჩინებას. დადგა საღამოს შვიდი საათი და ათასზედ მეტი ხალხი მოგროვდა სასამართლოს წინ. გაიგეს თუ არა რომ ზასულიჩის ქალი გაამართლეს—ამოდენა ხალხმა როგორც თვით სასამართლოში მჯდომმა, ისე ქუჩაში მდგომმა დასცა ერთი საშინელი ტაში და დასძახა უშველებელი „ბრავო." გამოვიდა თუ არა სასამართლოდამ ზასულიჩის ქალის ადვოკატი ალექსანდროვი, ხელში აიყვანა ხალხმა და აღტაცებით გააქანა ქუჩაში. გამოვიდა ზასულიჩის ქალი—ესეც ხელში აიტაცა ხალხმა და ჯერ ერთ მხარეს გააქანა, მაგრამ ჟანდარმებმა რომ გზა გადუჭრეს, მერე მეორე მხარეს ეცა. ზასულიჩის ქალი ჩაჯდა კარეტაში, რომელსაც დიდის აღტაცებით მისდევდა ხალხი. დაუხვდნენ ხელმეორედ პოლიცია და ჟანდარმები, რომელნიც პანღურით და მუშტით აშორებდნენ ხალხს კარეტას. ასტყდა ერთი საშინელი ყვირილ-კივილი. მოისმა ერთხელ-ორჯელ სროლის ხმა... ხალხში ერთი ვიღაც დაეცა მკვდარი (ვიღაც სადოვსკი); ზოგიერთი დასჭრეს. ხალხმა ცოტ-ცოტად დაშლა დაიწყო. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. ამ დროს ოცი-ოც-და-ათი ჟანდარი ცხენებით შეერივნენ ხალხში. დაშინებულმა ხალხმა ვინ სად შეიფარა თავი, ვინ სად... რა მოხდა? ვინ არის ზასულიჩის ქალი და რა არის ღენერალი ტრეპოვი? რაში მდგომარეობს საქმე, რომელმაც ასე ფრიად აალელვა საზოგადოება, გააჩინა თვით სისხლის ღვრაც?

ბრალმდებლის ოქმის სიტყვით საქმე არსებობს შემდეგში: 24 იანვარს 1878 წ., დილის ათ საათზედ, ღენერალ ადიუტანტის ტრეპოვის მისაღებ ოთახში, ვიღაც ქალმა, რომელიც არზის მისართმევად იყო მისული, დამბაჩა ესროლა ტრეპოვს და ძალიან მძიმედ დასჭრა. ქალს მაშინვე წაავლეს ხელი, და დაატუსაღეს. ქალმა ჯერ დამალა თავისი ნამდვილი სახელი და გვარი და კაზლოვის სახელი დაირქვა. მაგრამ მერე კი გამოაცხადა, რომ კაპიტნის ზასულიჩის ქალი ვარო. წინა გამოძიებაში ზასულიჩის ქალმა სთქვა რომ ეს მოქმედება წინადვე მქონდა მოსაზრებულიო და განგებ ამისთვის მივედიო ტრეპოვთან; ჩემთვის სულ ერთი იყოვო ჩემს დამბაჩას რაც უნდა შედეგი ჰქონიყოვო—მოკვდებოდა ტრეპოვი, თუ მხოლოდ დაიჭრებოდაო; მე მხოლოდ გაბოროტებული ვიყავიო გრადონაჩალნიკზედ (ღენ. ტრეპოვზედ), რომელმაც შარშან ზაფხულში ერთი საპოლიტიკო ტუსაღი ბოგოლიუბოვი გაართზგინაო. ზასულიჩის ქალი სრულიად არ იცნობდა ბოგოლიუბოვს. ამის გალახვის ამბავი ჯერ პენზენის გუბერნიაში შეიტყო გაზეთებიდამ, და მერე პეტერბურღში ნაცნობებისაგან. ზასულიჩის ქალს კარგად ესმოდა ის გულის ჩაკვრა და ტკივილი, რომელიც ჰსწვდავს ყოველს კაცს, საპყრობილეში ჩავარდნილს. ამიტომ ბოგოლიუბოვის ამბავმა დიდად ჩააფიქრა ზასულიჩის ქალი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მის გულში; მოუვიდა ჯავრის ამოყრის სურვილი. ამისათვის ერთის ნაცნობის მეოხებით, რომელმაც არ იცოდა ზასულიჩის ქალის განზრახვა, იყიდა დამბაჩა და 24 იანვარს მივიდა ღენ. ტრეპოვთან არზის მისართმევად და მაშინ ესროლა. წინა გამოძიებაში გამოჩნდა, რომ მართლა 13 მკათათვეს 1877 წელს ტუსაღს ბოგოლიუბოვს, სასამართლოს მიერ კიდეც დასჯილს (კატორღაში იგზავნებოდა), ღენ. ტრეპოვის განკარგულების ძალით ოც-და-ხუთი როზგი დაჰკრეს თურმე.

ვიდრე ეს ბრალმდებელი ოქმი წაიკითხეს სასამართლოში, ამორჩეულ იქმნენ ნაფიცნი—მსაჯულნი (თვრამეტი), რომელთა შორის არიან უმთავრესად ვაჭრები და მოხელენი. სასამართლოს თავმჯდომარემ მიუგო მათ ჩვეულებრივი სიტყვა და უთხრა სხვათა შორის შემდეგი: «გახსოვდეთ, რომ თქვენ უნდა წარმოსთქვათ არა აზრი (შეხედულობა), არამედ განჩინება. ამიტომ გირჩევთ დაივიწყოთ თუ რამე ლაპარაკი გაგიგონიათ ამ საქმეზედ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზედ; უნდა გახსოვდეთ მხოლოდ ის რასაც დაინახავთ და გაიგონებთ აქ სასამართლოში. რაც სასამართლოს გარედ გაგიგონიათ არის მხოლოდ აზრი, ხოლო რასაც იტყვით თქვენ აქ, სასამართლოში, იქმნება განჩინება; რაც სასამართლოს გარედ გაგიგონიათ, არა გდებთ თქვენ არავითარ პასუხის გებას, თქვენის განაჩენით კი გასცემთ პასუხს საზოგადოებას და ბრალდებულს, რომლის ბედი თქვენ ხელთ არის. იქნება თქვენზედ იმოქმედოს ამ საქმის გარეშე გარემოებამ ესე იგი მსმენელთა სიმრავლემ და მედი-

დურობამ, რომელიც ჩვეულებრივ სხვა საქმეში არ არსებობს. ყველა ამას არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციოთ; თქვენთვის, მსაჯულთათვის უნდა არსებობდნენ მხოლოდ სასამართლო, ბრალდებული, მოწმები, ბრალმდებელი და მოსარჩლე. რაც შეეხება თქვენს პირ-და-პირ მოვალეობას, იგი მდგომარეობს იმაში, რომ არ უნდა იქონიოთ არავითარი მიმოსვლა უცხო პირებთან და საქვეყნოდ არ უნდა გამოაცხადოთ თქვენის რჩევა-ბაასის საიდუმლო; თუმცა თქვენ არავის წინაშე არა ხართ პასუხის-მგებელნი, მაგრამ მაინც თქვენი თავისუფლება შევიწროვებული იქმნებოდა. არავითარი მიმოსვლა არ უნდა იქონიოთ მეთქი, იმიტომ რომ ეჭვი არ დაგედოთ ვითომ ამ მიმოსვლამ რაიმე გავლენა იქონია თქვენს განაჩენზედ."

საპოლიტიკო ტუსაღის გალახვაზედ, რომელიც შეიქმნა პირ-და-პირ მიზეზად ზასულიჩის ქალის დანაშაულობისა და ურომლისოდაც ზასულიჩის ქალი არც დამბაჩას ესვროდა ღენ. ტრეპოვს, სასამართლოში გამოჩნდა შემდეგი: 13 მკათათვეს 1877 წ. დილის ათ საათზედ საპყრობილეში (სადაც საპოლიტიკო ტუსაღები იყვნენ დამწყვდეულნი) მისულა ღენერალი ტრეპოვი, რომელმაც დაინახა, რომ ეზოში სეირნობდნენ ზოგიერთი ტუსაღები. ამათ შორის იყვნენ სამნი: ბოგოლიუბოვი, კადიანი და პეტროპავლოვსკი, რომელნიც ერთად იდგნენ. ტრეპოვი გაჯავრებულა თურმე და უთქვამს მაიორ კურნეევისათვის (რომელიც მაშინ საპყრობილოს უფროსად იყო) ტუსაღები ერთად რად დადიანო, ვის გაუგონიაო რომ ერთსა და იმავე საქმისათვის დაჭერილნი ერთად იყვნენო. ამ დროს თვითონ ბოგოლიუბოვი მისულა და უთქვამს ტრეპოვისათვის—მე სრულებით სხვა საქმის გამოისობით ვარ აქაო და ჩემი საქმე კიდეც გათავდაო. ტრეპოვს დაუყვირნია ბოგოლიუბოვისათვის „შენ ვინ გელაპარაკებაო“ და უბძანებია კარცერში ჩასვითო. მაგრამ რადგანაც არავინ არა ყოფილა იმ დროს ამ ბძანების ასასრულებლად, მოსეირნებმა ერთხელ კიდევ შემოუარეს ეზოს და ხელმეორედ დახვდნენ ტრეპოვს, რომელსაც დაუყვირნია ბოგოლიუბოვისათვის «ქუდი მოიძრე» და ხელიც წაუტანებია. ბოგოლიუბოვს ქუდი გადმოუვარდა... შემდეგ ბოგოლიუბოვი კარცერში წაიყვანეს... მერე გაროზგეს კიდეც. სხვა ტუსაღებმა დაინახეს ფანჯრიდამ რაც მოხდა ეზოში, დაინახეს როგორ გამოჰქონდათ სალდათებს როზგები, მოესმათ კვილი და ამოუჯდათ გული: შეიქმნა საშინელი ხმაურობა, ყვირილი, რომელიც მეტადრე მაშინ გაძლიერდა, როდესაც მაიორმა კურნეევმა გამოუცხადა ეზოდამ ტუსაღებს, რომ ბოგოლიუბოვს გაროზგვენო. გალახვის ბძანება ღენ. ტრეპოვს მიუცია.

მოწმების გამოკითხვა რომ გათავდა, ზასულიჩის ქალმა მიუგო სასამართლოს შემდეგი: „ამბავი, რომელიც 13 მკათათვეს მოხდა, გავიგონე პეტერბურღში სხვა და სხვა ნაცნობებისაგან. მითხრეს თუ როგორ უცვივდებოდნენ ხოლმე სალდათები ტუსაღებს და კარცერში ერეკებოდნენ; გარდა ამისა გამიგონია ვითომ ბოგოლიუბოვს ოც-და-ხუთი როზგი კი არ დაჰკრეს, არამედ იქამდისინ სცემეს, ვიდრე არ გაშეშდა. მე თვითონ გამომიცდია თუ რა გვარად უწვრილებს გულს კაცს ხანგრძლივი მარტოდ ჯდომა საპყრობილეში. უმეტესი ნაწილი საპოლიტიკო ტუსაღთა შორის, რომელნიც იმ დროს ისხდნენ საპყრობილეში, სამ-სამი და სამ-ნახევარ წელიწადი მჯდარა, ზოგი მათგანი ჭკუაზედ შეიშალა, ზოგმა თავიც მოიკლა. მე ცხადად დამეხატა თვალწინ რა საშინელი გულისტკივილი უნდა მოსვლოდათ ყველა საპოლიტიკო ტუსაღებს იმ გალახვაზედ, და მეტადრე მათზედ, ვისაც თვითონ გადაჰხდა გაროზგვა, ცემა, კარცერი; დამეხატა თვალწინ რა უდიერი უნდა იყოს კაცი, რომ ყველა ეს გადასხდევინოს მარტო იმიტომ, რომ მეორედ შეხვედრის დროს ქუდი არ მოუხადეს. ჩემ თვალში ეს დასჯა კი არ იყო, არამედ შეგინება ადამიანობისა პირადის სიანჩხლისაგან. მე მეგონა, რომ ეს საქმე ფუჭად ვერ გაივლის ველოდი, მაგრამ ყველა გაჩუმებული იყო, მწერლობაშიაც აღარა ისმოდა რა; არაფერი არ უშლიდა ტრეპოვს, ან სხვა მისთანავე ძლიერს კაცს ხელმეორედ ჩაედინა იმისთანა საქმე—ქუდის მოხდის დავიწყება ხომ ადვილია,—აგრეთვე სხვა ამ გვარივე მცირე მიზეზის პოვნა. აი, როდესაც სხვა საშუალება რამ ვერ ვპოვე, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ დაუსჯელად არ უნდა ჩაიაროს შეგინებამ ადამიანობისამ. მე ვერ ვპოვე, ვერ შევიძელ მეპოვნა სხვა ღონისძიება, რომ საზოგადოების ყურადღება მიმექცია ამ საქმეზედ... მე ვერ ვხედავდი სხვა სახსარს... საშინელებაა კაცზედ ხელის მიმართვა საკლავად, მაგრამ ჩემის აზრით მე უნდა მექნა...»—„ჩემთვის სულ ერთი იყო მოვკლავდი თუ დავჭრიდი; მე მინდოდა მხოლოდ მეჩვენებინა, რომ ისე არ ადვილი არის ადამიანის ღირსების შეგინება.“

გარდა ამისა ზასულიჩის ქალმა უამბო სასამართლოს თავისი ცხოვრება: „1867 წ. მარტში გამოვედი პანსიონიდამ, დავიჭირე საშინაო მასწავლებლის ეგზამენი და შევედი მწერლად მომრიგებელ მოსამართლესთან ქ. სერპუხოვში. 1868 წ. შემოდგომას მოვედი პეტერბურღს, სადაც ვცხოვრობდი დედასთან, ვმუშაობდი მეუდევეებთან და დავდიოდი საოსტატო შკოლაში, სადაც მინდოდა შემესწავლა ხმოვანი მეთოდა. ამ შკოლაში გავიცანი ნეჩაევი, რომელმაც გამაცნო თავისი ნაცნობები, ნეჩაევს ჩემ სახელზედ მოსდიოდა წიგნები, და როდესაც საზღვარ გარედ იყო, ჩემ სახელზედ გზავნიდა ყოველ წიგნს. 1869 წ. აპრილში გამიჩხრიკეს სახლი, მაგრამ ვერა იპოვეს რა. გაჩხრეკის დროს დედა ჩემმა გამოაცხადა, რომ საზაფხულოდ მოსკოვში მივდივართო. ამის შემდეგ თითქმის ყოველ დღე მოდიოდა კაცი პოლიციიდამ და კითხულობდა თუ როდის მივდივართ. მოსკოვში რომ მივედით სადგურშივე დაგვატუსაღეს. იმ ღამეს პოლიციაში გავათენეთ და მეორე დღეს გაგვისტუმრეს ჟანდარმებით პეტერბურღში, პირ-და-პირ მესამე განყოფილებაში *). დედა ჩემი გაანთავისუფლეს და მე კი წამიყვანეს ციხეში, სადაც ვიჯექ მაისამდე 1870 წ. პირველ კვირაშივე შემოვიდა ჩემთან ჟანდარმის აფიცერი და მკითხა—რა გაქვს საჩვენებელიო, და დაუმატა—შენი განთავისუფლება შენ ნაჩვენზედ იქმნება დამოკიდებულიო. ამაზედ ვუპასუხე არც კი ვიცი მეთქი რისთვისა ვარ დაჭერილი და რა უნდა მქონდეს მეთქი საჩვენებელი. მას უკან მთელი წელიწადი ვიჯექი ციხეში და ერთხელაც არ მომიწვიეს არსად და არც არაფერი უკითხავთ ჩემთვის; ასე რომ ვფიქრობდი კიდეც, დამივიწყეს მეთქი. მაისში გადამიყვანეს პეტრე-პავლეს ციხეში და გამომკითხეს ჩემადუროვის კომისიაში. ბოლოს 1871 წ. მარტში, დიდმარხვის მეხუთე კვირას გამანთავისუფლეს, და აღდგომის კვირაში ღამის პირველს საათზედ ხელმეორედ დამატუსაღეს და ჩამსვეს სხვა საპყრობილეში (სადაც ტუსაღები გასაგზავნათ არიან დანიშნულნი). აქ დადიოდა ჩემთან ჩემი და, მოჰქონდა საჭმელი, ხილი, წიგნები, მაგრამ არც ფული, არც ტანისამოსი არ მოუტანია, რადგანაც ფიქრშიაც არ მოგვდიოდა, რომ გამისტუმრებდნენ სადმე, რადგანაც პროკურორმა, როცა მანთავისუფლებდნენ, მითხრა არაფერში არა ხარ დამნაშავეო და სრულიად თავისუფალი ხარო. მეხუთე დღეს გამისტუმრეს ჟანდარმებით ქ. კრესტცის *), და იქ ერთის კაპით და ორის მანეთით ჯიბეში გამიშვეს—საცა გინდა, იქ წადიო. გამომიჩნდნენ კეთილი სულნი, რომელთაც მომცეს ოთახი და მასმევ-მაჭმევდნენ. თიბათვეში, არზა რომ შევიტანე, გადმიყვანეს ქ. ტვერში. შემდეგ მოწმად წამიყვანეს პეტერბურგში და მერე ისევ ტვერში გამისტუმრეს, სადაც ჩემი სიძეც იყო. 1872 წ. ზაფხულში ჩემი სიძე, რომელიც ვითომ რაღაც აღკრძალულ წიგნებს აძლევდა სემინარიის შეგირდებს, გადიყვანეს კოსტრომის გუბერნიაში, ქ. სოლიგალიჩს; მე კი დამატუსაღეს, წამიყვანეს სემინარიელების საქმის თაობაზედ პეტერბურღს, და შემდეგ მეც სოლიგალიჩს გამისტუმრეს. 1873 წ. დეკემბერში გადამიყვანეს ხარკოვს, სადაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ვცხოვრობდი 1875 წლამდე."—

როცა მოწმების გამოკითხვა გათავდა და ზასულიჩმა თავისი ჰსთქვა, გაიმართა სამსაჯულო ბაასი. პროკურორმა მსაჯულთა ყურადღება მიაქცია თითქმის მარტო იმ ამბავს, რომელიც მოხდა 24 იანვარსა და არა რაიმე მნიშვნელობა არ მისცა ამ საქმეში მას, რაც მომხდარი იყო 13 მკათათვეს საპყრობილეში. პროკურორის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ნაფიცმა ვექილმა ალექსანდროვმა და ჰსთქვა შემდეგი:

„უფალნო ნაფიცნო მსაჯულნო! მე მოვისმინე პატიოსანი და თავდაჭერილი სიტყვა უფალის პროკურორისა და ბევრს იმაში, რაც მისგან თქმულია, მეც სრულიად ვეთანხმები; ჩვენ მხოლოდ ძალიან ცოტას რასმეში ვერ მოვდივართ ერთმანეთთან, მაგრამ მაინც თვით უფალის პროკურორის სიტყვის შემდეგაც მე ჩემი უღელი არ შემსუბუქებია. დღევანდელის საქმის სიმძიმე და სიძნელე იმაში კი არ მდგომარეობს, რაც მოხდა ანუ მომხდარი რთული რამ საგანი იყოს; საქმე მეტად ცხადია თვისის გარემოებითა, იქამდე ცხადია, რომ მარტო 24 იანვრის ამბავზედ რომ ვილაპარაკოთ, მაშინ ყოველივე მსჯელობა თითქმის მეტიც იქნება. ვინ იტყვის, რომ თვით ნებითი კაცის-კვლა დანაშაულობა არ იყვეს? ვინ უარ-ჰყოფს მას, რასაც ამტკიცებს თვით ბრალდებული, რომ მეტად სამძიმოაო კაცმა კაცი მარტო თავისის საკუთარის ნებით გაჰსწიროსო? ყოველი ეს

*) ხელმწიფე იმპერატორის საკუთარის კანცელარიის მესამე განყოფილება დანიშნულია საიდუმლო პოლიტიკური საქმეთათვის.

*) ნოვგოროდის გუბერნიაში.

ჭეშმარიტის, იმისთანა მართალის, რომლის წინააღმდეგ არა ითქმის რა. საქმე იმაშია, რომ, 24 იანვრის ამბავი არ უნდა განხილულ იქმნეს ცალკე, უიმისოდ რომ ერთს სხვა ამბავსაც ყური არ ვათხოვოთ. 24 იანვრის ამბავს ისეთი კავშირი აქვს, ისე ნაირად არის ჩართული იმ ამბავთან, რომელიც მოხდა 13 მკათათვეს რომ უიმისოდ გაუგებრად დარჩება მიზეზი, რისგამოც ვერა ზასულიჩმა მოსაკლავად გამოიმეტა გენერალ ადიუტანტი ტრეპოვი და თუ იმ მიზეზის გამოცნობა საჭიროა, უსათუოდ უნდა ეს მოსაკლავად გამომეტება შეუწონოთ იმ გულის-ხმას, რომლის დასაბამიც საპყრობილეში მომხდარი ამბავი იყო.

სწორედ მოგახსენოთ, არც მაგდენად ძნელი რამ არის ეგ შეწონვა. ძალიან ხშირად მოხდება ხოლმე, რომ განა თუ მარტო დანაშაულობას არჩევენ, არამედ იძიებენ თვით იმ ამბავსაც, რომელმაც აძრა კაცი დანაშაულობისათვის. ამ დღევანდელ საქმეში კი კავშირი დანაშაულობისა და მის მიზეზ შორის ცოტად თუ ბევრად რთულია და მის განსაზღვრა გაძნელებულია. მართალია ეჭვი არ არის, რომ გენერალ ადიუტანტის ტრეპოვის განკარგულება თანამდებობითი განკარგულება იყო.

ხოლო ჩვენ ეხლა, აქ ჩვენ თანამდებობის კაცს არ ვსდებთ მსჯავრსა. გენერალ ადიუტანტი ტრეპოვი დღეს აქ ბრალდებული კი არ არის, მოწამეა, ის კაცია, რომელიც ვნებულა დანაშაულისაგან. გარდა ამისა მართებულობა, რომლის გარდაცილებას ჩვენ ვერ გავბედავთ, გვეუბნება ჩვენ რომ რაოდენადაც შესაძლოა სიტყვა ფრთხილად ვიხმაროთ გენერალ ადიუტანტს ტრეპოვზედა, რადგანაც იგი ვნებულია დანაშაულობისაგან. მე ძალიან კარგად მესმის რომ არ შემიძლიან შევეხო თანამდებობის კაცის მოქმედებას და განვიხილო ისე, როგორც განიხილება ხოლმე მაშინ, როცა თანამდებობის კაცი ბრალდებულად არის წარმომდგარი სამართლის წინაშე. მაგრამ ამ ძნელის მდგომარეობიდამ, რომელშიაც ჩავარდნილი ვარ მე, შეიძლება ჩემის ფიქრით, გამოსვლა ამ სახით: ყოველი თანამდებობისა თუ უფლების მქონი სწორედ ორ პირი იანუსია *), რომელიც აყუდებულია მაღლობზედ მდგარს ტაძარში. ერთი მხარე იმ იანუსისა მიქცეულია კანონისაკენ, უფროსებისკენ, სასამართლოსაკენ; ამ მხარეს ანათებენ ესენი და ესენივე განიხილვენ ხოლმე. განხილვა აქ სრულია, საბუთიანია, და უტყუარი. მეორე მხარე კი მოქცეულია ჩვენკენ, უბრალო სიკვდილის შვილებისაკენ, რომელნიც ვდგევართ ტაძრის გარედ აღსავალში მთის ძირსა. ამ მხარეს ჩვენ შევყურებთ და იგი არ არის ხოლმე ჩვენთვის ყოველთვის ერთნაირად განათებული. ჩვენ თუ ზოგჯერ მიუვალთ ხოლმე, ისიც მარტო უბრალოს ფარნით, გრომიანის სანთლით, მიმქრალის ჭრაქითა. ბევრი რამ ჩვენთვის ბნელით არის მოცული; ბევრი რამ იმისთანას აზრს აღგვიძრავს ხოლმე, რომ ჩვენ ერთს ვფიქრობთ თანამდებობის კაცის საქციელის თაობაზედ და მთავრობა, სამართალი კი სულ სხვას იმავე საგანზედა. იქნება ზოგჯერ ჩვენ ვცდებოდეთ კიდეც და ჩვენი აზრი ტყუილი იყოს, მაგრამ ჩვენ რომ იმ აზრითა ვცხოვრებთ! ჩვენ რომ იმ აზრის მიხედვით ჩვენს გრძნობასაც ისე თუ ასე მოვმართავთ ხოლმე, ხან ვაქებთ, ხან ვაძაგებთ, ხან გვიყვარს, ხან არა, ხან ვჩივით, ხან მოუწონებთ ხოლმე განკარგულებას და ვამბობთ სამართლიანად იქცევაო! როცა თანამდებობის კაცის მოქმედება ჩვენის მოქმედების მიზეზად, შექნება ხოლმე, მაშინ სახეში უნდა მიღებულ იქმნას არამც თუ მარტო ის — წესიერად თუ უწესოდ მოიქცა თანამდებობის კაცი კანონის მიხედვითა, არამედ ისიცა როგორ მიგვაჩნია მისი საქციელი ჩვენ თვითონ. თანამდებობის კაცის მოქმედების შესახებ ჩვენი აზრი და არა კანონის მეტყველება უნდა მიღებულ იქმნას იმ გარემოებათ, რომელზედაც დამოკიდებულია მეტ-ნაკლებობა ჩვენის პასუხის გებისა. ნუ იყოს თუნდ ეგ ჩვენი აზრი სწორე და მართალი; თანამდებობის კაცს ხომ არა ვსჯით მის გამო, მაგ აზრს აქვს მნიშვნელობა განსაკუთრებულად მხოლოდ ჩვენის საქციელისა, რომელიც წარმომდგარია კაცის აზრის წინამძღოლობითა. კაცმა რომ სწორედ ახსნას გულის-ხმა ჩვენის მოქმედებისა, ჯერ უნდა შეიტყოს იმ გულის-ხმამ როგორ იმოქმედა ჩვენს ცნობიერებაზედ. ამ სახით, 13 მკათათვის ამბავის მოთხრობაში მე არ შევეხები განხილვას თანამდებობის კაცის მოქმედებისას, მე მარტო იმას ვიტყვი, თუ როგორ იმოქმედა მაგ ამბავმა ვერა ზასულიჩის ჭკუასა და გონებაზედ ამ საზღვარს მე არ გადავცილდები და მგონია არ შევიქმნე მსაჯულად თანამდებობის კაცის მოქმედებისა; ამის შემდეგ, იმედი მაქვს, რომ ამ საზღვრებში მომეცემა ჩემთვის საჭირო კანონიერი თავისუფლება სიტყვისა და ამასთანავე მოვითხოვ თქვენგან შეწყნარებას, თუ გძლად და ვრცლად მომივა გამოკვლევა იმ გარემოებისა, რომელიც იქნება, პირველ-შეხედვით, გეგონოთ, რომ საქმეს არ შეეხებაო.

(შემდეგი იქნება)

*) იანუსი საბერძნეთის მითოლოგიური ღმერთი იყო, რომელსაც ორის პირის სახით სახავდნენ ხოლმე.

## რუსეთი

გაზეთის „Сѣверный Вѣстникъ“-ის კორრესპონდენტი კოლოღრივიდამ *) იწერება სხვათა შორის შემდეგს:

„ამ უკანასკნელ დროს (1877 წ.) ჩვენში გლეხკაცებმა დაიწყეს გადასახლება ციმბირისა და ამურის მაზრებში. რამ აიძულათ იგინი, რომ დასტოვეს მზად გაშენებული მამა-პაპეული მამული, გაჰყიდეს ჩალის ფასად თავიანთი საქონელი, სახლ-კარი, და გაემგზავრნენ, ღმერთმა იცის საითკენ, სრულიად უცხო მხარეში, რომელიც მათ „აღთქმულ“ ქვეყანად მიაჩნიათ? ცხადი საქმეა, რომ აქ გლეხ-კაცობას აიძულებს იმისთანა მიზეზნი, რომლებთანაც მას ბრძოლა არ შეეძლო და უნდა გადასახლებულიყო სხვაგან. ჩვენი ვალია ეხლა გამოვიკვლიოთ მიზეზნი, თუ რისთვის დაიწყეს გადასახლება გლეხთა სხვა მხარეში, და მაშინ თვით ეს ამბავიც აიხსნება.

უნდა შევნიშნოთ, რომ კოლოღრივის უეზდი ერთი იმ მდიდარი უეზდებთაგანია მთელს გუბერნიაში, სადაც ტყეები მრავალია, თუმცა ხაზინასა და კერძო პირებს კი ეკუთვნით. ამასთანავე ამ უეზდში ჩამოდის მდინარე უნჟა, რომელზედაც შეუძლიან გემებმა იარონ, და მაშასადამე ხე-ტყით ვაჭრობა შეუძლებელი არ იყო. ბატონ-ყმობის გადავარდნამდინ ადგილობრივი ალებ მიცემობა ჯერეთ ისევ ახლად ფეხ-ადგმული იყო: ბატონი განცხრომითა სცხოვრობდა თავის მამულში და რადგანაც მუქთა მუშები ჰყავდა,—აკეთებდა თავის მინდვრებს და შეძლებისა-და-გვარად წინ მიჰყვანდა თავის მეურნეობას. ამის გამო იმის მინდვრები და ტყეები გაჩეხისა და დაუძლურებისაგან დახსნილიყვნენ.

მაგრამ აი დადგა 1861 წელი. ბატონს ერთბაშად გამოეცალნენ ხელიდამ მუქთი მუშები, რისგამოც იმან აღარ იცოდა რა ექმნა. პირველ შემთხვევაშივე მისცემოდა სასოწარკვეთილებას—არ იქნებოდა; უნდა მოეგონებინა საშუალება რამ, რომ მამული შეუმუშავებელი არ დარჩენოდა. ამ ნაირ საშუალებად სცნა მან ფულით დაჭერა მუშებისა, რადგან იგი უქადოდა მას სარგებლობას. მაგრამ ამ საშუალებამ იმდენი სარგებლობა ვერ მოუტანა, რამდენსაც მოელოდა და რამდენსაც ბატონ-ყმობის გადავარდნამდინ იღებდა მუქთის მუშების წყალობით. რასაკვირველია ეს პირველადვე ვერაფრად ეჭაშნიკებოდა. ბატონს ტყუილ-უბრალოდ ჯდომა თავის მამულში არ უყვარდა; აგრეთვე არ უყვარდა ყველასათვის თვითონ ედევნებინა თვალი. ხანამ კიდევ შემოსდიოდა მამულების გამოსასყიდელი ფული და გლეხებისაგან მიწების ხარჯი, ის როგორც იყო სულს იბრუნებდა; მაგრამ დღე დღეზედ, წელიწადი წელიწადებზედ მიდიოდნენ და ბატონის მამულს აკლდებოდა შემოსავალი და ჰკარგავდა მის თვალში წინანდელს მშვენიერებას, რისგამოც იგი ცდილობდა დროით მოეცილებინა მამული თავიდამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, ექცია ფულად. ეს იყო მეორე და უკანასკნელი საშუალება, რომ როგორმე დაეხსნა თავი იმ მდგომარეობისაგან, რა მდგომარეობაშიაც იგი ჩააგდო ბატონ-ყმობის გადავარდნამ.

ამის შემდეგ, ბატონის მამულ-დედული და ტყეები ცოტ-ცოტათი ჩაუვარდა ხელში ფულის მქონე ვაჭრებს. უნჟის უდაბური ადგილები აღივსო მრავალის ხალხითა, და იქ, სადაც წინად რამდენიმე ასი ხომალდი და ხე-ტყე კეთდებოდა,—ეხლა ათასობით და ათი ათასობით კეთდება; საიდამაც რამდენიმე ასი საჟენი შეშა გამოჰქონდათ, ეხლა სამოცი ათასობით გამოაქვთ.... დადგა ფულიანის ვაჭრების მეფობა.

ბატონისაგან განთავისუფლებულს გლეხს ეხლა თავისუფლად შეეძლო მოეხმარებინა თავისი შრომა როგორც უნდოდა და შეემუშავებინა მხოლოდ თვისი საკუთარი მამული. ამ ნაირ სასარგებლო პირობათა შორის მყოფს გლეხს, ცხადი საქმეა, თავის მეურნეობა უნდა წინ წაეყვანა და აღეყვავებინა, და ამასთანავე განეკარგებინა თავისი ცხოვრებაც. მაგრამ ჩვენში სულ სხვა ნაირად მოხდა, და იქ, სადაც გლეხს წინად თავის შრომით მოყვანილი პური ჰყოფნიდა, ეხლა აღარა ჰყოფნის და ითმენს დიდს გაჭირვებას: მიწის ნაწარმოები გლეხიკაცის თვით არსებითს საჭიროებასაც კი ვერ აკმაყოფილებს.

მგონია ყველამ უნდა იცოდეს, რომ რუსეთის გლეხი იმ დრომდე არის კარგი მშრომელი მეურნე და გადამხდელი სახელმწიფო ხარჯისა, ვიდრე მიწის ნაწარმოები აჯილდოებს იმის შრომას და, ამასთანავე აძლევს ცოტა რამ მეტსაც, რომლისაც გაყიდვა შეეძლოს მას, რომ იმ ფულით გადაიხადოს სახელმწიფო ხარჯი და დაიკმაყო-

*) კოლოღრივი—სამაზრო ქალაქი კოსტრომის გუბერნიაში.

ფილოს სხვა არსებითნი საჭიროებანი. ამისათვის საჭიროა როგორც ღირსება მამულისა, აგრეთვე იმის სიფართოეც. თუ ამაებს მოკლებულია გლეხი, მაშინ იმის მეურნეობა დროს განმავლობით უკან და უკან მიდის და ბოლოს სრულიადაც იღუპება. რადგან გლეხმა თავის პურის ნაკლებულობა უნდა ყიდვით შეამსოს, და ამისათვის არის საჭირო ფული, ამისათვის მიდის სხვაგან სამუშაოდ და ის მიწა კი, რომელსაც იგი აკეთებდა და შრომის ფასს კი ვერ იღებდა, რჩება შეუმუშავებლად.

მაგრამ გლეხი როცა სხვაგან მიდის სამუშაოდ, მარტო იმისათვის კი არ მიდის, რომ დაიკმაყოფილოს თავის არსებითნი საჭიროებანი, არამედ იმისთვისაც, რომ გადიხადოს ის სახელმწიფო ხარჯი, რომელიც მას აწევს კისერზედ და რომელიც უიმისოთაც გაღარიბ-გაღატაკებულს გლეხს უფრო აღარიბ-აღატაკებს. რომ გლეხმა კიდეც იცხოვროს და კიდეც გადიხადოს ხოლმე უვალოდ სახელმწიფო ხარჯი, ამისათვის, როგორც ზევითაც ვსთქვით, საჭიროა მამულის ღირსება და რაოდენობა. მაგრამ თუ რომ გლეხი მოკლებულია ამ პირობებს და მამული ძლივს იძლევა იმდენს, რაც ძრიელ საჭიროა გლეხის ოჯახობისათვის (ჩვენში მამული მომეტებულად ამასაც არ იძლევა), მაშინ სახელმწიფო ხარჯის გადახდა მეტის-მეტად უჭირდება გლეხსა.»

---

— თუმცა ჯერ კანონით არ არის გარდაწყვეტილი თუ რა უფლება უნდა მიეცეთ იმ ქალებს, რომელთაც საექიმო სწავლა შეასრულეს, მაგრამ ცხოვრება და მისი მოთხოვნილება არ უცდის კანონს: რამდენიმე ექიმი-ქალები თვით აკადემიის საავათმყოფოში მიუღიათ პროფესორების თანაშემწეთ (მოსწავლე ქალებისათვის); ზოგნი ერობას მიუწვევია ექიმათ. ექიმი-ქალებისათვის მიუციათ დროებით ჯეროვანი მოწმობა ექიმობისათვის, ვიდრე საქმე კანონით გადაწყდება. ერობა კიდევაც თხოულობს თურმე ექიმ ქალებს და იმ ჯამაგირს აძლევს, როგორც ექიმ კაცებსაც—1,200 მან. 1500 მანეთამდე წელიწადში.

— გაზეთს „Сѣверный Вѣстникъ“-ში სწერია: „ზოგიერთი გაზეთები ამბობენ ვითომ ზასულიჩის ქალი პოლიციას ემალებაო, რომელიც მას დაეძებსო. ამის შესახებ ამბობენ რომ იმ ღამესვე, საქმის გათავების შემდეგ პოლიციას ორი სახლი გაუშინჯავს, სადაც ზასულიჩის ქალი ეგულებოდა თურმე, მაგრამ ვერც ერთში ვერ უპოვნიათ. ამბობენ, რომ დღესაც (ე. ი. 2 აპრილს) ეძებდნენო, მაგრამ არა გამოვიდა რაო გარდა იმისა, რომ დაატუსაღეს რამდენიმე პირი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ ვითომ იციან სად არის ზასულიჩის ქალი. ამბობენ ზასულიჩის ქალი დამალულა, რადგანაც ეშინიან მართებლობამ არ გამისტუმროსო, თუმცა სასამართლოს მიერ გამართლებულია. ამასთანავე იმ შეტაკების მიზეზად, რომელიც მოხდა განთავისუფლების შემდეგ პოლიციისა და ხალხის შორის, ყოფილა პოლიციის მეცადინეობა ზასულიჩის ქალის სხვა კარეტაში ჩასმისათვის.“

— გაზეთს „Современныя Извѣстія“-ში იწერებიან: „3 აპრილს შუადღის სამის ნახევარზედ კიევიდამ ჟანდარმებმა მოიყვანეს მოსკოვში თხუთმეტი სტუდენტი. კარეტებში ჩასვეს და წაასხეს გასაგზავნ საპყრობილეში. ტუსაღები რომ გამოჩნდნენ, სადგურიდამ დაუხვდნენ ბევრნი ტეხნიკები და პეტროვსკის აკადემიის სტუნდენტები და გაჰყვნენ კარეტას. ამ ხალხს ბევრი მაყურებელიც მიუდგა, ასე რომ თეატრის მოედანზედ რომ მივიდნენ, ხალხის გუნდი იქნებოდა ხუთიათასამდე. კარეტებში მჯდომი სტუდენტები და აგრეთვე იგინიც, რომელნიც აცილებდნენ, ქუდმოხდილნი იყვნენ. ზოგიერთი უნივერსიტეტის სტუდენტიც შეერივა თურმე. ყმაწვილკაცობა მისდევდა კარეტებს და ყვიროდა „ურა!“ ერთს სახლს, რომ მიუდგნენ ვიწრო ქუჩაში შესდგა თურმე საშინელი აყალ-მაყალი, ჩხუბი და ყვირილი. საქმე გათავებულა ჯერ-ჯერობით მით რომ ცხრა სტუდენტი დატუსაღებიათ.“

— გაზეთის „Сѣверный Вѣстникъ“-ის კორრესპონდენტი სტავროპოლიდამ იწერება სხვათა შორის შემდეგს: „წრევანდელმა წელიწადმა თავი გამოიჩინა ორის სამწუხარო ამბით: ორმა ყმაწვილმა თავი მოიკლა. ერთი—გიმნაზიაში მოსწავლე ქალი (სტაროსელსკისა), რომელზედაც გაზეთებში იყო მოხსენებული, და მეორე ვაჟი, გიმნაზიის მეხუთე კლასის შეგირდი ჩებოტიროვი, რომელმაც სამჯერ იცა მკერდში დამბაჩა, მაგრამ არც ერთი ტყვია გულში არ მოხვედრია. ჩებოტაროვი მთელის დღის განმავლობაში ცოცხალი იყო და საშინელ ტანჯვაში, მაგრამ თავი ისე შეიმაგრა, რომ არაფრით არ გამოუჩენია თავისი ტანჯვა. თავის მოკვლის მიზეზი არავის უთხრა—ვის რად უნდაო. ის იყო დედის ერთა ვაჟი და ამიტომ წარმოიდგენეთ რა მწუხარებაში უნდა ყოფილიყო მისი მშობელი, მით უფრო, რომ მას აუკრძალეს ქრისტიანული წესით დამარხვა, თუმცა შარშან კი ქრისტიანთა წესით დამარხეს პოლიცმეისტარი, რომელმაც დამბაჩა იკრა, და პრისტავი, რომელმაც თავი ჩამოირჩო.“

კიდევ მსხვერპლი უდრო-უდროდ თავის მოკვლისა მოსწავლე ყმაწვილთა შორის! ჩვენოტაროვისა არ იყოს— ვის რა ენაღვლება? საქმე იმით იწყება და თავდება, რომ გაზეთები აცნობებენ მკითხველს—ამა და ამან დამბაჩა დაიცა, ამა და ამან თავი ჩამოირჩოვა, მიზეზი კი არავინ იცისო. გათავდა-წავიდა. რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა ბავშვის გულში? რით იყო მოწამლული ის ჭაერი, რომელსაც ჰსუნთქავდა ან ერთი, ან მეორე უბედური? რამ გაუმწარა მას ნორჩი სიცოცხლე და დაატოვებინა წუთის სოფელი? ყველა ეს სამარეში ჩაჰყვა უბედურს და მით გაქრა ყოველივე კვალი. ჭაერი კი იგივეა და ერთს უბედურს მისდევს მეორე. „ვის რა ენაღვლება.“

---

## სისხლის მოჩვენებაზედ.

(შემდეგი *).

### III

ყასბის ქარგალი ჩემ გულითად მეგობრად გახდა. მას ერქვა ანტიმ ბრიკონი. ის იყო ერთი უბოროტო რამ ცხოველი; ძროხის დაკვლაში და ცხვრის ყელის გამოჭრაში დიდი შეუბრალებელი ოსტატი იყო, მაგრამ პატარა ძაღლისათვის კი რომ ფეხი დაედგა, გული ეტკინებოდა და მაშინვე ბოდიშს მოიხდიდა. ანტიმამ მასწავლა ხბოს გაბერვა, ასოასოდ დაჭრა, ხორცის ლამაზად ჩამოკიდება. დილიდამ საღამომდე სისხლში მყოფმა შევატყე, რომ დღე და დღე უფრო ღონეზედ მოვდივარ და ყოველთვის, როდესაც სადილად შინ მივიდოდი, დედა ჩემი დამკოცნიდა ხოლმე და სიხარულით იტყოდა:

— მართლა და, ლამის ჩემი ჯანდაგი შვილი კაცად გამიხდეს! ერთი უყურეთ ამის ლოყებს და! სწორედ მკვდარი გამიცოცხლდა, ღმერთმანი!

რა წამსაც მამა ჩემი ხმას ამოიღებდა, რომ ეხლა კი დროა წიგნის სწავლას შეუდგესო, დედა ჩემი მაშინვე სიტყვას გააწყვეტინებდა და ეტყოდა ხოლმე:

— მოესწრობა! ჯერ დაიცა ერთი კარგად მოჯობიანდეს!

რა კი ვნახე რომ ჩემის ჯანმრთელობის საქმე ასე კარგად მიდის, ჩემს ნატვრას საზღვარი აღარ ჰქონდა! გაგიჟებული ვიყავ იმ სურვილისაგან, რომ ერთი კარგი წამოსადეგი, მხარ-ბეჭიანი და ხელღონიერი კაცი შევიქმნე. მე იქამდე მიველ, რომ სისხლის სმას მივყავ ხელი და როცა გულს დავაჯერებდი რომ არავინ მხედავს, მაშინვე ვეცემოდი ხოლმე რომელსამე პირუტყვს, დავჭრიდი და იქვე დაუწყობდი დაჭრილიდამ თბილის სისხლის წოვნას. დღე და დღე აგებულებით ჯანზედ მოვდიოდი, მაგრამ გული კი მიქვავდებოდა. რა რომ რიგ-რიგად დროს ვატარებდი ხან საყასბოში, საცა მარტო სისხლის გუბეებს ვხედავდი, ხან ჩემის დედ-მამის მშვიდობიანს სახლში, საცა ღვთიური ალერსი დედისა დამხვდებოდა ხოლმე, მე შევიქმენ უცნაურ და საზარელ კაცად, ერთ იმისთანა სულიერად, რომლის გულშიაც შეერთებულია მხეცური მძვინვარება და გულმხურვალე ღვთის მოყვარება. დღესაც კი ამისთანა ვარ.

როცა მოცლილნი ვიყავით, ბრიკონი და მე ქაღალდის ნავებს ვაკეთებდით და სისხლის გუბეებში ვატარებდით. ბრიკონი მასწავლიდა ოც-და-ხუთს ნაბიჯზედ დანის დასობას ნიშანში. მაგრამ, ვისაც უცდია ამ გვარი თამაში დანითა, კარგად იციან, რომ ნიშანში დანის სროლა — სულელობაა. ჭეშმარიტი და ნამდვილი სულის აღტაცება მაშინ არის, როცა დანას ისე დაასობ, რომ ტარი ხელიდამ არ გაუშვა. მაშინ არის, მაშინ ის სრული, გამოუთქმელი ნეტარება, როცა დანას ისე ჩაჰსცემთ რომელსამე სულდგმულსა, რომ წკრიალი გამოილოს იმ სულთმობრძავის სხვერპლის თრთოლისა და კანკალის გამო...

### IV

ბოლოს როგორც იყო მამა ჩემმა თავისი გაიყვანა და მე სასწავლებელში მიმაბარეს. დედა ჩემი წინააღმდეგობას ველარ გაუწევდა. მე მაშინ სწორედ ვეშაპად შევიქმენ კიდეც სხვა გზა რომ არ იყო, ჩემის მწუხარების ნამდვილი მიზეზი დამემალა, ის მაინც მოვახერხე, რომ მწუხარებას მართებული სახე დავდე. ყველა დარწმუნდა, რომ მე ჩემის სახლობის მოშორება მენანებოდა და მისთვის ვტიროდი. ის კი არა თუ, მე სისხლზედ შორს ყოფნა მიკლავდა გულსა.

თქვენ ხედავთ, უფალნო მსაჯულნო, რომ მე მოგახსენებთ ჩემს ამბავს ისე, როგორც ყოფილა და არის კიდეც. თუ ჩემს თავს გაალით ხალხს, საზოგადოებას და მოაშორებთ,—დიდს სამართლიანს საქმესა იქმთ. მე მაგის იმედი მაქვს, ჩემო ბატონებო!...

---

*) «ივერია» № 14, 1878 წ.

სასწავლებელში ჯერ გულაცრუებული ვიყავ და ვზარმაცობდი. მერე კი,—რადგანაც ნადირსავით მიუკარებელი რამ ვიყავ და არ მინდოდა არავისთან გამეგობრება, თავის შესაქცევრად სწავლას მივყავ ხელი... სხვა უკეთესი რომ არ იყო რა, რა! იზამდი! კურსი რომ შევასრულე, მე, პირველი ჯილდო მივიღე, თუმცა გარწმუნებთ სრულიად ამისთვის მეცადინეობა არ გამიწევია. აბა მოდით და ბედს ჭკუა მოჰკითხეთ!.. ნეტა რა საჯილდოვე მე ვიყავ! ღმერთმანი, ბედმა ზოგჯერ ისეთი რაღაცეები იცის ხოლმე, რომ თვით ეშმაკსაც ჭკუიდამ შეშლის. მამა ჩემს ისეთი სიხარული შეუდგა, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩემი მიცემა მოიწადინა. ჩემდა საუბედუროდ, დედა ჩემი, რომელსაც ისეც არ უნდა ჩემი მოშორება, ჩემს თხოვნას დაჰყვა. მისის მეოხებით მე ისევ ვიევილში დავბრუნდი.

მე ვხედავ, უფალნო მსაჯულნო, რომ თქვენ ხშირ-ხშირად საათს ჩახედავთ ხოლმე. მართალია, გვიან არის. თქვენ კიდევ სხვა საქმეებიც ბევრი გაქვსთ და ამასთანაც სადილის დროც არის. ამის გამო მე იქიდამ დავიწყობ ჩემს ამბავს, როცა, ჩემის დაბრუნების შემდეგ ჩემის მშობლების სახლში ხელახლად ამეშალნენ ჩემნი უწინდელნი და მიძინებულნი გულის ვნებანი.

ქრისტოფალის საყასბო ჩვენის სახლის პირ-და-პირ იყო უწინდელებრ. რასაკვირველია, იქ ხელახლად ჩემი შესვლა და შაგირდად ყოფნა—ფიქრადაც მოსასვლელი აღარ იყო. მე ხომ პატარა ბავშვი აღარ ვიყავ. მე ეხლა მოზდილი ვაჟ-კაცი ვიყავ, „ბატონობით" სახსენებელი და ამასთანაც ერთი კარგად მოსული და ჯანმრთელი. აბა რა თქმა უნდა, ყველა გაოცდებოდა, მე რომ ყასბობას თავის შესაქცევრად შევდგომოდი, ისე როგორც ზოგნი შეუდგებიან ხოლმე მხატვარობას და მუსიკობას. აბა რა ვიქნებოდი, თქვენი ჭირიმე, კარგის სწავლისათვის პირველის ჯილდოს პატრონი—ყასბის დუქანში! სწორედ რომ წარმოუდგენელი სულელობა იქნებოდა! ჩემი მეგობარი ბრიკონი მაშინ იქ აღარ იყო, სხვა ქალაქში გადასულიყო. მე სულ მარტოდ მარტო ვიმყოფებოდი. ჩემი მაშინდელი ცხოვრება ერთფერი და მოსაწყენი იყო.

რომ როგორმე დრო გამეტარებინა, მამა ჩემმა ჩვენს ნოტარიუს პელიბესთან მიმაბარა. იქ მე გადავწერდი ხოლმე ნასყიდობის სიგელებს, უწყებებს ვგზავნიდი, ხელშეკრულობის წერილებს ვარდგენდი...თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა ყოფაში ვიქნებოდი უღელში ეგრე შებმული! თუ რასმეს შეეძლო ჩემი ჰაზრი სხვა გზაზედ დაეყენებინა—რასაკვირველია, არა იმ ქაღალდების ბლაჯვნასა!.. ამასობაში ჩემი რიგიც მოვიდა ჯარში ჩადგომისა. დედა ჩემს არას გზით არ უნდოდა ჩემი მოშორება და ჩემ მაგიერ ბადალი დაიჭირა და ჩააყენა....ვინ იცის? მე რომ ჯარის კაცად გავხდომილიყავ, იქმნება ამ დღეში არ ჩავარდნილვიყავ!..

ჩემის ფანჯრიდამ ჩანდა ეზოს კარები, და ამ კარებით, შეჰყავნდათ ხოლმე ქრისტოფალის ეზოში მისნი ოთხ-ფეხნი სხვერპლნი. ყოველს დილას განგებ დავდგებოდი ხოლმე ამ ფანჯარასთან მარტო იმისათვის, რომ მეყურებინა როგორ ხოცდნენ საკლავსა. ერთს რაღაც დიდს სიამოვნებას ვგრძნობდი ხოლმე, როცა ყასაბი ერთს უზარმაზარს კეტს აიცილებდა თავის ზემოდ და იქიდამ დაჰსცემდა ხარს თავში და იქვე დარეტიანებულს გადააქცევდა. ამ კეტის დაცემაზედ ყასაბი რომ დაიქნეშავდა, ისე მიამებოდა თითქო მუსიკა არისო.

ზოგჯერ ფიქრად მომივა ხოლმე და გულში ვამბობ: ჩვენს პირ-და-პირ რომ ქრისტოფალი არა ყოფილიყო იმ შეუწყვეტელის სისხლითა, და ყოფილიყო ანუ აფთექისა ანუ მეწვრილმანის დუქანი, მე იქნება ასეთი არ გამოვსულვიყავ, როგორიც ეხლა ვარ!..

ბედს წინ ვერ დაუდგები, გზას ვერ აუქცევ, განა, უფალნო მსაჯულნო? რაც მოხდა, მოხდა!.. დანარჩენი თქვენ უნდა მოიფიქროთ... ინებეთ,—შემდეგის მოსმენაცა.

ეგ. ღვინიაშვილისა.

(შემდეგი იქნება.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Апрѣля 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.